აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 44

28/11/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „ძლიერი საქართველოლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 26 ნოემბერს წარმოდგენილი №264-101 2024 განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/192, თარიღი 27/11/2024) საფუძველზე, **ვადგენ:**

1. გაუუქმდეთ საარჩევნო რეგისტრაცია და მოხსნილ იქნენ საარჩევნო სუბიექტის **„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“** მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარმოდგენილი პარტიული სიიდან №2-№27-ის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე